თბილისის “დინამომ” წააგო ნახევარფინალური მატჩი

(ლენინგრადი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

7 სექტემბერს, ლენინგრადში ჩატარდა “სსრკ თასის” გათამაშების ნახევარ ფინალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ **ლენინგრადის “ელექტრიკის” და თბილისის “დინამოს”** ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშის პირველი წუთები დაიწყო ტემპიანი თამაშით. ხშირი იყო მოწინააღმდეგეთა კარების მოედნებზე კრიტიკული მომენტები, მაგრამ თავდამსხმელები ვერ იყენებდნენ მრავალ უდავო შესაძლებლობას. მე-18 წუთზე გარღვევაზე გავიდა პაიჭაძე და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. პირველი ტაიმი დამთავრდა – 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის მე-6 წუთზე ლენინგრადელებმა გაათანაბრეს ანგარიში – 1:1.

უტაქტიკო და მოდუნებული თამაში გამოამჟღავნეს მ. ბერძენიშვილმა და ჯეჯელავამ. მე-36 წუთზე ლენინგრადელებს 19 მეტრ მანძილიდან გააქვთ მეორე ბურთი.

თბილისის “დინამომ” წააგო მატჩი – ანგარიშით 1:2 და გავიდა “სსრკ თასის” გათამაშების წყობილებიდან. კარგად სჯიდა თამაშს მსაჯი ონიშენკო (ხარკოვი).

“მუშა”, 8 სექტემბერი, 1938 წ.